

2023 წლის ფინანსური ანგარიშგება

შპს „კატერ ტექნოლოჯი“

სარჩევი:

ფინანსური ანგარიშგება

ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება -----	3-4
საქმიანობის შედეგების ანგარიშგება -----	5-6
საკუთარი კაპიტალის ცვლილებების ანგარიშგება -----	7
ახსნა-განმარტებითი შენიშვნები -----	8-16

შპს „ვატერ ტექნოლოჯი“ ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება
2023 წლის 31 დეკემბრისათვის

ფინანსური მდგომარეობა	შენიშვნები	31/12/2023	31/12/2022
ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები	1	350327	235782
სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	2	630321	681422
სხვა პირებზე ავანსებად და სესხებად გაცემული ფულადი სახსრები	3	226351	185922
მარაგები	-	1958466	2177341
მზა პროდუქცია		1946126	2173247
სხვა		12340	4094
სხვა მოკლევადიანი აქტივები		1	1
სხვა არამატერიალური აქტივები	4	5234	5234
ძირითადი საშუალებები	4	85800	101025
სულ აქტივები		3256500	3386727
ვალდებულებები			
საიჯარო ვალდებულება		532	864
სავაჭრო ვალდებულებები		3141	3188
ვალდებულებები თანამშრომელთა მიმართ		4482	4482

მოკლევადიანი ნასესხები სახსრები		0	0
გრძელვადიანი ნასესხები სახსრები		0	18629
სხვა ვალდებულებები		476301	498302
სულ ვალდებულებები		484456	525465
საკუთარი კაპიტალი			
სააქციო კაპიტალი (შპს-ს შემთხვევაში 'კაპიტალი', კოოპერატივის შემთხვევაში 'საპაიო კაპიტალი')		50000	50000
საემისიო შემოსავალი		0	0
გამოსყიდული საკუთარი აქციები		0	0
გაუნაწილებელი მოგება / (დაგროვილი ზარალი)		2722044	2811262
გადაფასების რეზერვი		0	0
საკუთარი კაპიტალის სხვა კომპონენტები		0	0
<u>სულ საკუთარი კაპიტალი</u>	-	2772044	2861262
სულ საკუთარი კაპიტალი და ვალდებულებები		3256500	3386727

დირექტორი

მთ. ბუღალტერი

შპს „ვატერ ტექნოლოჯი“

2023 წ. 31 დეკემბრის დასრულებული წლის

სრული შემოსავლებისა და გაუნაწილებელი მოგების ანგარიშგება

საქმიანობის შედეგები	შენიშვნები	31/12/2023	31/12/2022
ნეტო ამონაგები	-	2684389	2757575
საქონლის გაყიდვიდან		2481543	2665570
მომსახურების გაწევიდან		202846	92005
გაყიდვების თვითღირებულება		-1604724	-1639398
საერთო მოგება		1079665	1118177
სხვა საოპერაციო შემოსავალი		0	0
დასაქმებულთა ანაზღაურება		-589045	-389878
ცვეთა / ამორტიზაციის ხარჯი		-21266	-19488
საპროცენტო შემოსავალი		0	1069
საპროცენტო ხარჯი		-553	-6573
იჯარის ხარჯი		-52817	-53472
ადმინისტრაციული და სხვა საოპერაციო ხარჯი		-112411	-134845
<u>სულ საოპერაციო ხარჯები</u>	-	<u>-776092</u>	<u>-603187</u>
საოპერაციო მოგება		303573	514990
გაუფასურების (ხარჯი) / აღდგენა:			
ფინანსური აქტივების გაუფასურების (ხარჯი) / აღდგენა		0	0
მარაგების გაუფასურების (ხარჯი) / აღდგენა		0	0
სხვა არაფინანსური აქტივების გაუფასურების (ხარჯი) / აღდგენა		0	0

წმინდა შემოსულობა / (დანაკარგი) უცხოური ვალუტით ვაჭრობიდან და სავალუტო სახსრების გადაფასებიდან		3102	-5211
მიღებული დივიდენდები		0	0
სხვა არასაოპერაციო შემოსავალი / (ხარჯი)		-75367	-129767
მოგება / (ზარალი) მოგების გადასახადის ხარჯამდე განგრძობითი ოპერაციებიდან	-	<u>231308</u>	<u>380012</u>
მოგების გადასახადის ხარჯი		-63789	-25128
საანგარიშგებო პერიოდის მოგება / ზარალი	-	<u>167519</u>	<u>354884</u>
საკუთარი კაპიტალი საანგარიშგებო პერიოდის დასაწყისში		2861262	2648767
განაწილება მესაკუთრეებზე (მათ შორის დივიდენდი)		-256737	-142389
საკუთარი კაპიტალი საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს	-	<u>2772044</u>	<u>2861262</u>

დირექტორი
მთ. ბუღალტერი

შპს „გატერ ტექნოლოჯი“

2023 წლის 31 დეკემბრისათვის საკუთარი კაპიტალის
ცვლილებების ანგარიშგება

(ლარში)

	საწესდებო კაპიტალი	გაუნაწილებელი მოგება	მთლიანი კაპიტალი
2022 წლის 31 დეკემბერი	50,000.00	2,811,262	2,861,262
წმინდა მოგება		167519	
სხვა სრული შემოსავალი	-		-
პერიოდის სრული შემოსავალი	-	2,978,781	
გაცემული დივიდენდი	-	-256,737	
საწესდებო კაპიტალის ზრდა	0	-	-
2023 წლის 31 დეკემბერი	50,000.00	2,722,044	2,772,044

დირექტორი
მთ. ბუღალტერი

1. ზოგადი ინფორმაცია

შპს “ვატერ ტექნოლოჯი” (შემდეგ - კომპანია) წარმოადგენს შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოებას, რომელიც დაფუძნდა 2015 წლის 2 ივნისს საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად. კომპანია დარეგისტრირებულია თბილისის საგადასახადო ინსპექციის მიერ, საიდენტიფიკაციო ნომრით 400146855. კომპანია 2005 წლის 16 დეკემბრიდან რეგისტრირებულია დღგ-ს გადამხდელად. კომპანიის იურიდიული მისამართია საქართველო, ქ. თბილისის, გლდანი-ნაძალადევის რაიონში, ანდრონიკაშვილის II შეს., N 7.

- ფაქტიური მისამართი: თბილისი, გურამიშვილის გამზირი #84.
- შპს „ვატერ ტექნოლოჯი“ ეწევა საბითუმო და საცალო ვაჭრობას, დიდ წილად საცურო აუზებისთვის განკუთვნილი სამშენებლო და მაკომპლექტებელი მასალების იმპორტს შემდგომი რეალიზაციის მიზნით.
- კომპანიის 35% -ის წილის მფლობელია ვასილ ხურცილავა, ხოლო 65%-ს მამუკა ზარნაძე. დირექტორი მამუკა ზარნაძე.
- კომპანიის საწესდებო კაპიტალი 2023 წლის 1 იანვრისა და 31 დეკემბრისთვის შეადგენს 50000 ლარს.

კომპანიაში 2023 წლის 31 მდგომარეობით დასაქმებულია 14 გამოცდილი და კვალიფიციური თანამშრომელი.

2. ფინანსური ანგარიშგების მომზადების საფუძველი და სააღრიცხვო პოლიტიკა

მომზადების საფუძვლები

წინამდებარე ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია ბუღალტრული აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტების საბჭოს მიერ გამოცემული მცირე და საშუალო საწარმოთა ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტის შესაბამისად.

ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია დარიცხვის მეთოდით, საწარმო აკმაყოფილებს ფუნქციონირებადი საწარმოს მოთხოვნებს;

მსს ფასს სტანდარტების პირველადი გამოყენება

კომპანია მსს ფასს სტანდარტებზე გადავიდა 2018 წლის 1 იანვარს. კომპანია წარადგენს ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებას, 2023 წლის 1 იანვრის და 31 დეკემბრის მდგომარეობით, ასევე 2023 წლის საქმიანობის შედეგების ანგარიშგებას და 2023 წლის

კაპიტალში მომხდარი ცვლილებების ანგარიშგებას, ასევე შესაბამის ახსნა განმარტებით შენიშვნებს;

შეფასებისა და წარდგენის ვალუტა

(ა) ფუნქციონალური და წარდგენის ვალუტა

თავის ოპერაციებში კომპანია ფუნქციონალურ ვალუტად იყენებს ქართულ ლარს, რომელსაც მნიშვნელოვანი გავლენა აქვს კომპანიის ოპერაციებზე. ამგვარად, მოცემული ფინანსური ანგარიშგებისათვის შეფასების ვალუტად კომპანია იყენებს ქართულ ლარს.

(ბ) ტრანზაქციები და ბალანსი

ფულადი აქტივები და ვალდებულებები კონვერტირებულია ფუნქციონალურ ვალუტაში ოფიციალური გაცვლით კურსით ბალანსის შედგენის დღისთვის. მოგება და ზარალი კურსთა შორის სხვაობიდან ოპერაციების ანაზღაურებისას და ფულადი აქტივების და ვალდებულებების კონვერტაციისას წლის ბოლოს არსებული ოფიციალური კურსით აღიარებულია მოგებად ან ზარალად. წლის ბოლოს კონვერტაცია არ ეხება არაფულად აქტივებს.

2023 წლის 31 დეკემბერს და 2022 წლის 31 დეკემბერს უცხოურ ვალუტაში არსებული ნაშთების კონვერტაციისთვის გამოყენებული ბოლო გაცვლითი კურსი იყო შემდეგი:

საქართველოს ეროვნული ბანკის ოფიციალური კურსი

პერიოდი	დოლარი	ევრო
კურსი 2023 წლის 31 დეკემბრისთვის	2,6894	2,9753
კურსი 2022 წლის 31 დეკემბრისთვის	2,7020	2,8844

ძირითადი სააღრიცხვო პოლიტიკები:

ძირითადი სააღრიცხვო პოლიტიკები, რომლებიც გამოყენებულია ფინანსური ინფორმაციის მომზადებისას, მოცემულია ქვემოთ. აღნიშნული პოლიტიკები ეხება წარდგენილ ყველა წელს, თუ განსხვავებული არ არის განცხადებული.

ტერმინების განმარტებები:

ფული და ფულის ეკვივალენტები

ფული და ფულის ეკვივალენტები არის ისეთი აქტივები, რომლებიც დაუბრკოლებლად გადაიცვლება ნაღდი ფულის წინასწარ ცნობილ ოდენობაზე და მათი ღირებულების შეცვლის რისკი უმნიშვნელოა. ფული და ფულის ეკვივალენტები მოიცავს ნაღდ ფულს, ფულად სახსრებს საბანკო ანგარიშებზე.

სავაჭრო მოთხოვნები და გაცემული სესხები

რეალიზაცია, ძირითადად, ხორციელდება ჩვეულებრივი საკრედიტო პირობებით და დებიტორულ დავალიანებას პროცენტი არ ერიცხება. იმ შემთხვევაში, როდესაც საკრედიტო ვადები აღემატება ჩვეულებრივ საკრედიტო ვადებს, მოთხოვნების შეფასება ხდება ამორტიზებული ღირებულებით ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდით. ყოველი საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს გაანალიზდება სავაჭრო და სხვა მოთხოვნების საბალანსო ღირებულებები, რათა დადგინდეს, არსებობს თუ არა ობიექტური მტკიცებულება იმისა, რომ ეს თანხები არ არის ამოღებადი. ამგვარი მტკიცებულების არსებობის შემთხვევაში, გაუფასურების ზარალი დაუყოვნებლივ აღიარდება მოგებაში ან ზარალში.

მარაგები

მარაგები საწყისი აღიარება ხდება თვითღირებულებით და შემდგომ თვითღირებულებასა და ნეტო სარეალიზაციო ღირებულებას შორის უმცირესით. თვითღირებულება მოიცავს შეძენისა და სხვა ხარჯებს, რომლებიც დაკავშირებულია მარაგების ტრანსპორტირებასა და დასაწყობებასთან. მაგალითად, ტრანსპორტირებისა და იმპორტის ხარჯები, ასევე სხვა პირდაპირი ხარჯები.

მარაგების თვითღირებულება გამოითვლება საშუალო შეწონილის მეთოდით.

ძირითადი საშუალებები

თავდაპირველი აღიარება და შეფასება

ძირითადი საშუალებები თავდაპირველად აღიარდება თვითღირებულებით. თვითღირებულება შეძენის ფასთან ერთად მოიცავს პირდაპირ დანახარჯებს და მათთან დაკავშირებული ნებისმიერი მომავალი ვალდებულების მიმდინარე ღირებულებას, ისევე

როგორც მიმდინარე შესყიდვის ფასს, ასევე აქტივთან უშუალოდ დაკავშირებულ დანახარჯებს, რომელიც აუცილებელია აქტივის სამუშაო მდგომარეობაში მოსაყვანად.

იმ შემთხვევაში, თუ ძირითადი საშუალების თითოეულ კომპონენტს გააჩნია განსხვავებული ექსპლუატაციის პირობები, მაშინ ამდაგვარი აქტივთა ჯგუფი აღირიცხება ინდივიდუალურად.

მოგება ან ზარალი ძირითადი საშუალებების გასვლის შედეგად განისაზღვრება საბალანსო ღირებულებისა და მიღებული თანხის შედარებით და ჩაირთვება სხვა შემოსავლების/ხარჯების კატეგორიაში, სრული შემოსავლის ანგარიშგებაში.

ა) შემდგომი ხარჯები

შემდგომი ხარჯები ჩაირთვება აქტივის საბალანსო ღირებულებაში ან აღიარდება, როგორც დამოუკიდებელი აქტივი, მხოლოდ მაშინ, როდესაც შესაძლებელია აღნიშნული ტიპის დანახარჯისაგან მომავალი ეკონომიკური სარგებლის მიღება და შესაძლებელია მისი ღირებულების საიმედოდ განსაზღვრა. შეცვლილი კომპონენტის საბალანსო ღირებულება ჩამოიწერება. ყველა სახის სხვა დანახარჯი, რომელიც დაკავშირებულია მიმდინარე ტიპის რემონტებთან, აღიარდება, როგორც ხარჯი მისი გაწევის პერიოდში.

ბ) ცვეთა

ძირითად საშუალებებზე ცვეთის დარიცხვა იწყება მაშინ, როდესაც შესაძლებელია მისი გამოყენება, ანუ, როდესაც ის არის იმ ადგილას ან ისეთ სამუშაო მდგომარეობაში მოყვანილი, რაც აუცილებელია მის გამოსაყენებლად.

ძირითად საშუალებებს ცვეთა ერიცხება **წრფივი ცვეთის მეთოდით**, სასარგებლო მომსახურების ვადის მიხედვით;

ქვემოთ მოცემულია ძირითადი საშუალებების სასარგებლო მომსახურების ვადები კატეგორიების მიხედვით:

მიწა	უვალო
შენობა ნაგებობები	50
მანქანა-დანადგარები	7
კომპიუტერული ტექნიკა და პერიფერიული მოწყობილობები	5
იჯარით აღებული ქონების კეთილმოწყობა	7
ავეჯი და სხვა ინვენტარი	3
კონტეინერი	15
სატრანსპორტო საშუალებები	7-10

არამატერიალური აქტივები

კომპანიის არამატერიალურ აქტივებს წარმოადგენენ სააღრიცხვო პროგრამები არამატერიალური აქტივები თავდაპირველად აღიარებულია თვითღირებულებით.

აქტივების გადაფასება

ყოველი საანგარიშგებო თარიღისათვის ტარდება ძირითადი საშუალებების და არამატერიალური აქტივებისა გატესტვა გაუფასურებაზე, რათა დადგინდეს, არსებობს თუ არა რაიმე ნიშანი იმისა, რომ აღნიშნული აქტივები გაუფასურებულია. იმ შემთხვევაში, თუ არსებობს შესაძლო გაუფასურების ნიშანი, შეფასდება ნებისმიერი აქტივის ანაზღაურებადი ღირებულება და შეუდარდება მის საბალანსო ღირებულებას. თუ შეფასებული ანაზღაურებადი ღირებულება ნაკლებია, საბალანსო ღირებულება შემცირდება აქტივის საბალანსო ღირებულება, ხოლო გაუფასურების ზარალი დაუყოვნებლივ აღიარდება მოგებაში ან ზარალში.

სავაჭრო ვალდებულებები

სავაჭრო ვალდებულებები წარმოადგენს ჩვეულებრივი საკრედიტო პირობებით აღებულ ვალდებულებებს და პროცენტი არ ერიცხება. საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს უცხოურ ვალუტაში გამოსახული სავაჭრო ვალდებულებები გადაანგარიშდება საწარმოს ფულად ერთეულში, საანგარიშგებო თარიღისათვის არსებული სავალუტო კურსის მიხედვით. საკურსო სხვაობით წარმოქმნილი შემოსულობა ან ზარალი აისახება სხვა შემოსავალში ან სხვა ხარჯებში.

გადაფარვა

ფინანსური აქტივები და ვალდებულებები არის გადაფარული და ნეტო თანხითაა წარმოდგენილი ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში მხოლოდ მაშინ როდესაც, არის კანონიერი უფლება, რომ აგრეგირდეს აღიარებული თანხები და არის განზრახვა წარდგენილ იქნეს ნეტო თანხით ან გაიყიდოს აქტივი და დაიფაროს ვალდებულება ერთდროულად.

დაბეგვრა

საგადასახადო ხარჯი შედგება პერიოდის მიმდინარე გადასახადისგან.

კომპანიის მიმდინარე გადასახადი გაანგარიშებულია საქართველოს საგადასახადო კანონმდებლობის შესაბამისად.

გადასახადები აღიარდება საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად. წინასწარ გადახდილი გადასახადები წარდგება, როგორც საგადასახადო აქტივები.

ამონაგების აღიარება

საქონლის გაყიდვიდან მიღებული შემოსავლის აღიარება ხდება, როდესაც კომპანია მყიდველს გადასცემს საქონლის ფლობასთან დაკავშირებულ მნიშვნელოვან რისკებსა და სარგებელს, და ასევე, როდესაც მოსალოდნელია, რომ მოცემული ოპერაციიდან საწარმო მიიღებს წინასწარ შეთანხმებულ სარგებელს. ეს კრიტერიუმები ჩაითვლება დაკმაყოფილებულად, როდესაც პროდუქცია გადაეცემა მყიდველს.

თუ ამონაგები უკვე ასახულია და ამის შემდეგ საექვო გახდა თანხის მიღება, ამოსაღები თანხა აისახება როგორც ხარჯი და არა როგორც თავდაპირველად აღიარებული ამონაგების თანხის კორექტირება.

ხარჯების აღიარება

კომპანია თავისი ძირითადი ოპერაციების განხორციელებისას ახდენს როგორც საოპერაციო, ასევე სხვა ხარჯების გაწევას, რომელიც პირდაპირ არ არის დაკავშირებული პროდუქციის რეალიზაციასთან.

მოგება–ზარალის ანგარიშგებაში ხარჯები აღიარდება თუ ის იწვევს მომავალი ეკონომიკური სარგებლის შემცირებას, რომელიც დაკავშირებულია აქტივების შემცირებასთან ან ვალდებულების ზრდასთან და შესაძლებელია მისი საიმედოდ შეფასება.

თუ ეკონომიკური სარგებელი მოსალოდნელია რომ წარმოიქმნება რამდენიმე სააღრიცხვო პერიოდის განმავლობაში, მასთან დაკავშირებული ხარჯები სრული შემოსავლის ანგარიშგებაში აღიარდება გონივრული განაწილების საფუძველზე.

ხარჯები სრული შემოსავლის ანგარიშგებაში აღიარდება დაუყოვნებლივ, თუ აღარ მოიტანს მომავალ ეკონომიკურ სარგებელს, ან თუ ეკონომიკური სარგებელი არ აკმაყოფილებს ან შეწყვეტა დაკმაყოფილება აქტივის აღიარების მოთხოვნისა ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში.

სახელფასო განაცემები

ხელფასები, ბონუსები და არაფულადი სარგებელი აღიარდება დარიცხვის მეთოდით იმ პერიოდში, როდესაც შესაბამისი სერვისი მიიღო კომპანიამ დასაქმებულისგან.

საანგარიშგებო პერიოდის შემდეგი მოვლენები

საანგარიშგებო პერიოდის შემდგომი მოვლენები და ფინანსური ანგარიშგების ავტორიზაციის თარიღამდე მომხდარი მოვლენები, რომლებიც დამატებით ინფორმაციას იძლევიან კომპანიის ფინანსური პოზიციის შესახებ, აისახება ფინანსურ ანგარიშგებაში. საანგარიშგებო პერიოდის შემდგომი მოვლენები, რომლებიც გავლენას არ ახდენენ

კომპანიის ფინანსურ მდგომარეობაზე ბალანსის შედგენის თარიღისთვის, მაგრამ არსებითი მნიშვნელობისაა, აისახება ფინანსური ანგარიშგების თანდართულ შენიშვნებში.

ანარიცხები, პირობითი ვალდებულებები და პირობითი აქტივები

პირობითი ვალდებულებები არ აისახება ფინანსურ ანგარიშგებაში, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც მოსალოდნელია ეკონომიკური სარგებლის გასვლა კომპანიიდან, და შესაძლებელია ამ ვალდებულების საიმედოდ შეფასება. პირობითი ვალდებულებების შესახებ ინფორმაცია მოცემულია ფინანსური ანგარიშგების განმარტებით შენიშვნებში, გარდა ისეთი პირობითი ვალდებულებებისა, რომლებთან დაკავშირებული ეკონომიკური სარგებლის გასვლა კომპანიიდან არ არის მოსალოდნელი.

ფინანსურ ანგარიშგებაში არ აისახება პირობითი აქტივები. მაგრამ ისეთი ფინანსური აქტივების შესახებ ინფორმაცია, რომლებთან დაკავშირებული ეკონომიკური სარგებლის შემოსვლა კომპანიაში შესაძლებელია - აისახება განმარტებით შენიშვნებში. იმ შემთხვევაში, თუ კომპანიას აქვს რწუმენება, რომ ეკონომიკური სარგებელი შემოვა კომპანიაში, მაშინ მასთან დაკავშირებული აქტივი და შემოსავალი აისახება იმ პერიოდის ფინანსურ ანგარიშგებაში, როდესაც ადგილი ქონდა შეფასების ცვლილებას.

ანარიცხი წარმოადგენს ვალდებულებას, რომელიც დაკავშირებულია რაოდენობრივ და დროით განუსაზღვრელობებთან. ვალდებულება კი წარმოადგენს კომპანიის მიმდინარე დავალიანებას, რომელიც წარმოიშვა წარსული მოვლენის შედეგად, და რომლის დაფარვა გამოიწვევს კომპანიიდან ეკონომიკური სარგებლის გადინებას.

შენიშვნა1 - ფული და ფულთან გათანაბრებული ინსტრუმენტები		
ლარში	2023 წლის 31 დეკემბერი	2023 წლის 1 იანვარი
ფული სალაროში	13,198	2,432
ფული საბანკო ანგარიშებზე	337,129	233,350
სულ ჯამი	350,327	235,782

შენიშვნა 2-სავაჭრო მოთხოვნები

ლარში	2023 წლის 31 დეკემბერი	2023 წლის 1 იანვარი
	630321	681,422
სულ ჯამი	630,321	681,422

შენიშვნა 3 სხვა პირებზე ავანსებად და სესხებად გაცემული ფულადი სახსრები		
ლარში	2023 წლის 31 დეკემბერი	2023 წლის 1 იანვარი
მომწოდებელზე გადახდილი ავანსები	185,922	130,562
სულ ჯამი	185,922	130,562

შენიშვნა 6 - ძირითადი საშუალებები																					
ინფორმაცია ძირითად საშუალებებზე		2023წ. პერიოდის საწყისი მონაცემები					პერიოდში განხორციელებული ცვლილებები										2023 წ. პერიოდის ბოლოს მონაცემები				
							შემოსავალი			გასავალი						ცვლა					
							შესყიდვა	პრეტორი	რეალური	რეალური	რეალური	რეალური	რეალური	რეალური	რეალური						რეალური
საბალანსი	დასახელება	რაოდენი	ლირები	აქუმული	ნარჩენი	რაოდენი	ლირები	კაპიტალი	რაოდენი	ლირები	ნარჩენი	რაოდენი	ლირები	ნარჩენი	გაყიდვით	მიმდინარე	რაოდენი	ლირები	აქუმული	ლირები	ნარჩენი
2150	მანქანა-დანადგარები				0		0								0			0	0	0	
2160	ოფისის აღჭურვილობა		572	406	167		0								131			572	537	35	
2161	დამხმარე პროფესიული მოწყობილობები		23527	17290	6237		571.69								4504			24099	21794	2305	
2162	კომპიუტერი აღჭურვილობა		17293	7512	9781		2605.93								4109			19899	11621	8278	
2163	ოფისის ელექტრო მოწყობილობები		5516	2956	2560		1103.22											6619	2956	3663	
2170	ავტო და სხვა ინვენტარი		16909	6914	9995		1760.25								3379			18669	10293	8376	
2131	კონტეინერი		5136	1805	3331										342			5136	2147	2988	
2180	სატრანსპორტო საშუალებები		83802	14848	68954			0							8800			83802	23648	60154	
2690	სხვა არამატერიალური აქტივები		5234		5234										0			5234	0	5234	
ჯამური მონაცემი		157989	51730.08	106258.8		0	6041.09		0	0	0	0	0	0	21266		0	164030	72996.08	91033.89	

ფინანსური ანგარიშგების დამტკიცება

კომპანიის ხელმძღვანელობის მიერ ფინანსური ანგარიშგება გამოსაცემად დამტკიცებულია 2024 წლის 27 სექტემბერს.

დირექტორი:

მთ. ბუღალტერი